

საქართველოს კანონი

„საფინანსო სექტორის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1 „საფინანსო სექტორის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი I № 7, მუხ. 28, 03/26/2008) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ფინანსური ინსტიტუტები უფლებამოსილი არიან, განვითარებული ქვეყნების შესაბამისი ორგანოების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე დამატებითი უფლებამოსილების მინიჭების გარეშე განახორციელონ სათანადო საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამ შემთხვევაში ფინანსური ინსტიტუტი საქართველოს **ეროვნულ ბანკს** უგზავნის შეტყობინებას საქართველოში საქმიანობის დაწყების შესახებ. ფინანსური ინსტიტუტების მიერ საქართველოში საქმიანობის დაწყების სხვა რეჟიმი შეიძლება დადგინდეს მხოლოდ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით.“.

2. მე-7 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით რეგულირებადი მონაწილეების მიმართ შეიძლება დადგინდეს გამარტივებული მოთხოვნები, სალიცენზიო პირობები და შეიზღუდოს საქართველოს **ეროვნული ბანკის** უფლებები ზედამხედველობასთან დაკავშირებით, გარდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების კუთხით განხორციელებული ზედამხედველობისა.“.

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ. საერთაშორისო ფინანსური კომპანიები საქართველოს **ეროვნული ბანკის** შემოწმებას ექვემდებარებიან მხოლოდ:

ა) „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვის შემოწმების მიზნით;

ბ) ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ნორმის შესრულების შესამოწმებლად.”.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
სააკაშვილი

მიხეილ